აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა

(2022-2025 წლები)

2021 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო 3
პრიორიტეტი (1) : წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება 3
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია 3
პრიორიტეტი (1) : საარჩევნო გარემოს განვითარება 3
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა 5
პრიორიტეტი (1) : აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა 5
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 6
პრიორიტეტი (1): რეგიონის ფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა 6
პრიორიტეტი (2): ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა 11
პრიორიტეტი (3) : ინფრასტრუქტურის განვითარება 13
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 15
პრიორიტეტი (1) : ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს ხელშეწყობა 15
პრიორიტეტი (2): კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია 21
პრიორიტეტი (3): სპორტის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია 27
პრიორიტეტი (4): ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა 28
პრიორიტეტი (5) : საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა 31
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო 32
პრიორიტეტი (1): მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა 32
პრიორიტეტი (2): მოსახლეობის სოციალური დაცვა 37
პრიორიტეტი (3): დასაქმების ხელშეწყობა 41
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 42
პრიორიტეტი (1) : სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება 42
პრიორიტეტი (2): გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა 48
პრიორიტეტი (3): ტყის მდგრადი მართვა 50

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

პრიორიტეტი (1) : წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება

პრიორიტეტის დასაბუთება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის მნიშვნელოვანია წარმომადგენლობითი ორგანოს გამართული ფუნქციონირება ქვეყნის მიერ აღიარებული დემოკრატიული ღირებულებების, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების, სამოქალაქო პლურალიზმის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის, რამდენადაც იგი წარმოადგენს რეგიონის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელ საკანონმდებლო და მაკონტროლებელი ფუნქციის მქონე სახელისუფლებო შტოს.

პროგრამა (1.1): საკანონმდებლო საქმიანობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0101

პროგრამის მიზანი:

- საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებისას მისი მოცულობის, ეფექტურობის და გამჭვირვალობის გაზრდა. მთავრობის საქმიანობის კონტროლის ფორმებისა და მეთოდების დახვეწა-სრულყოფა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- განხორციელებულია საკანონმდებლო საქმიანობა და შესაბამისი კონტროლი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია

პრიორიტეტი (1) : საარჩევნო გარემოს განვითარება

პრიორიტეტის დასაბუთება:

აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების, კონსტიტუციითა და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით ვადებში დაგეგმვა და გამართვა. არჩევნების სამართლებრივი,

ორგანიზაციული, ფინანსური და ტექნიკური უზრუნველყოფა. საარჩევნო კამპანიის წარმართვა დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების ჩატარების მიზნით.

პროგრამა (1.1): საარჩევნო სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

საარჩევნო გარემოს განვითარება

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0201

პროგრამის მიზანი:

- საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების, მასში თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინების, საარჩევნო ადმინისტრაციის ფუნქციონირებისა და საარჩევნო პროცესის მუდმივი სრულყოფის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების უზრუნველყოფა და რეალიზაცია, საარჩევნო ადმინისტრაციის მზადყოფნა სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების გამართვისათვის.

პროგრამა (1.2): არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

საარჩევნო გარემოს განვითარება

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0202

პროგრამის მიზანი:

- საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის ეფექტურობა, აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დაგეგმვა და გამართვა, კონსტიტუციითა და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში. ამომრჩეველთა აქტივობის ამაღლება, არჩევნების საჯაროობის უზრუნველყოფა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- დემოკრატიული და სამართლებრივი არჩევნები. დემოკრატიული და საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

პრიორიტეტი (1) : აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასაბუთება:

- რეგიონის ინსტიტუციური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აღმასრულებელი ორგანოს გამართული ფუნქციონირება.

პროგრამა (1.1): მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0301

პროგრამის მიზანი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების პირობების შექმნა;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;
- მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი და ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა;
- მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის განხორციელება;
- მთავრობის თავმჯდომარის თანამშრომლობის ხელშეწყობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებთან.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- განხორციელებულია აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი.
- უზრუნველყოფილია მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

პრიორიტეტი (1): რეგიონის ფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასაბუთება:

- რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადებაზე, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებაზე ზედამხედველობა და კოორდინაცია.
- რეგიონში ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით წინადადებების შემუშავება და რეალიზება.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

ეფექტიანი და გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების მოქნილ მართვას, სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბებას, აგრეთვე სახელმწიფო სახსრების ეკონომიურ და ეფექტიანად ხარჯვაზე მონიტორინგს. რეგიონში ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით წინადადებების შემუშავება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების გამჭვირვალედ და ეფექტიანად მართვა, მისი სრულყოფილად აღრიცხვა, მოვლა-პატრონობა და პრივატიზაცია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საზოგადოებების მართვა. რეგიონის, მუნიციპალიტეტებისა და დასახლებების სივრცითი, ქალაქმშენებლობითი და დაგეგმარების დოკუმენტების შედგენა. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა. ბიზნეს ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა. ახალი შესაძლებლობების ბიზნესისათვის. საფრთხის შემცველი ობიექტების მონიტორინგი და მართვა.

პროგრამა (1.1): ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

რეგიონის ფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 040101

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საფინანსო სისტემის მართვა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების უზრუნველყოფა.
რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდის მიზნით ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად შემუშავება და წარმართვა.
ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო საქმიანობის პოლიტიკის განხორციელება; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების დოკუმენტების შემუშავების პროცესის წარმართვა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- დანერგილია პროგრამული ბიუჯეტი, რაც უზრუნველყოფს საჯარო პოლიტიკის მიზნებსა და ფინანსურ სახსრებს შორის კავშირის გაძლიერებას.
- რეგიონის განვითარების საჭიროებებთან შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა შემუშავებულია და წარმართულია ეფექტიანად.

პროგრამა (1.2): რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

რეგიონის ფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 040102

პროგრამის მიზანი:

რეგიონის საინვესტიციო-საპრივატიზაციო პროცესის სრულყოფა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- რეგიონის, როგორც საინვესტიციოდ მიმზიდველი ადგილის ცნობადობის ამაღლება;
- ქონების მართვისა და პრივატიზების პროცესის ეფექტური ადმინისტრირება.

პროგრამა (1.3) : ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

რეგიონის ფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 040103

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიების ურბანული განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება.
- მოსახლეობისა და ტურისტებისათვის მიმზიდველი საკურორტო-სარეკრეაციო ადგილების შექმნა.

პროგრამა (1.4) : სახაზინო მომსახურება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
რეგიონის ფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0402

პროგრამის მიზანი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულება, მისი შემოსულობების და გადასახდელების ზუსტი და ოპერატიული აღრიცხვა.
- ბიუჯეტის ოპერატიული, ყოველთვიური, ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- ბიუჯეტიდან განხორციელებული გადახდების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.
- რეგიონული რესურსების გამოყენებაზე ანგარიშგებისა და კონტროლის უზრუნველყოფა.

პროგრამა (1.5) : დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
რეგიონის ფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0405

პროგრამის მიზანი:

- ინკუბირებული კომპანიების საქმიანობის ხელშეწყობა-მონიტორინგი და ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო სერვისებისა და რესურსების მიწოდება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- ახალი ბიზნეს სუბიექტების შექმნა რეგიონში.
- ბიუჯეტში დამატებით მიღებულია შემოსავლები და შექმნილია ახალი სამუშაო ადგილები.

პროგრამა (1.6) : ბიზნეს ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

რეგიონის ფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0411

პროგრამის მიზანი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრების ინტერესების დაცვა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებაში.
- სერვისების დახვეწა, ბიზნესმენებისა და ინვესტორების საქმიანობისათვის ხელშეწყობა.
- აჭარის რეგიონის ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- გაზრდილია გაცემული სერტიფიკატების/ექსპერტიზის აქტების რაოდენობა;
- წევრ ბიზნესმენთა რაოდენობის ზრდა;
- ახალი ბიზნეს ურთიერთობების ჩამოყალიბება.

პროგრამა (1.7) : საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა
პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

რეგიონის ფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0406

პროგრამის მიზანი:

- საფრთხის შემცველი ობიექტების ტექნიკური დიაგნოსტირების ჩატარება;
- სამშენებლო მასალებსა და პროდუქციაზე გამოცდების ჩატარება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- სამშენებლო ობიექტების ხარისხიანი სამშენებლო მასალებითა და პროდუქციით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.
- მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების შესაბამისობის დადგენა.
- ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს დაცვა.

პროგრამა (1.8) : საწარმოთა მართვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
რეგიონის ფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 04 08

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საზოგადოებების ბალანსზე რიცხული აქტივების მართვა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

განხორციელებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საზოგადოებების ქონების, დებიტორული და კრედიტორული მოთხოვნების მოძიება, ინვენტარიზაცია, განკარგვა, ქონების დაცვა, რეგისტრაცია.

პროგრამა (1.9) : ახალი შესაძლებლობები ბიზნესისთვის

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
რეგიონის ფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 04 09

პროგრამის მიზანი:

ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების განვითარების ხელშეწყობა, წარმოებული პროდუქციის დივერსიფიკაცია, გამოშვებული პროდუქციის მოცულობისა და ასორტიმენტის ზრდა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ნარჩენების გადამუშავებისა და ფუნქციურად გამოყენების უზრუნველყოფა. ნარჩენების გადამამუშავებელი ადგილობრივი საწარმოების განვითარება.

პრიორიტეტი (2): ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასაბუთება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტრატეგიული გეგმის მიხედვით, დეპარტამენტის 2022-2025 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაა, რაც გულისხმობს ტურიზმისა და კურორტების სფეროში ეფექტური პოლიტიკის გატარებას და რეგიონის ტურიზმისა და კურორტების განვითარების ხელშეწყობას, რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების გამოვლენას, ტურისტული პროდუქტების გამრავალფეროვნებას და რეგიონის ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო და შიდა ბაზარზე, ურთიერთთანამშრომლობითა და ინოვატორული ინიციატივებით პარტნიორებისა და დაინტერესებული პირების დახმარებას ხარისხის სტანდარტის ამაღლებაში.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ტურიზმისა და კურორტების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება;

რეგიონის ტურისტული პროდუქტების განვითარება და მომსახურების ხარისხის ამაღლება;

რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადობის ამაღლება;

ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების რაოდენობის გაზრდა.

პროგრამა (2.1): ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:
პროგრამული კოდი 041301

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ტურიზმისა და კურორტების სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება და დარგის საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ტურიზმისა და კურორტების სფეროში გატარებულია ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა;

შემუშავებულია და წარმატებით ხორციელდება დარგის წარმომომადგენლების მონაწილეობით და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შექმნილი რეგიონის ტურიზმის განვითარების სტრატეგია.
რეგიონში დარგის განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად ჩატარებულია საჭირო კვლევები.

პროგრამა (2.2): აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 041302

პროგრამის მიზანი:

- რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადობის ამაღლება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- გაზრდილია ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების რაოდენობა.

პროგრამა (2.3): ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 041303

პროგრამის მიზანი:

- რეგიონის ტურისტული პროდუქტების განვითარება და მომსახურების ხარისხის ამაღლება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- რეგიონში გაუმჯობესებულია ტურისტული სერვისების ხარისხი;
- რეგიონში განვითარებულია არსებული ტურისტული პროდუქტები, ასევე შექმნილია ახალი ტურისტული პროდუქტები.

პროგრამა (2.4) : რეკრეაციული ადგილების მოვლა-შენახვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:
პროგრამული კოდი 0403
პროგრამის მიზანი:

- მოსახლეობისა და დამსვენებელთა გაჯანსაღების, დასვენების ეფექტური პირობების უზრუნველყოფისათვის საკურორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- დასვენებისა და ტურიზმის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პირობების შექმნა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- განახლებული ბულვარის ინფრასტრუქტურა;
- კეთილმოწყობილი ახალი ტერიტორიები;
- ბულვარის ტრიტორიაზე შექმნილია გაჯანსაღებისა და დასვენების ეფექტური პირობები.

პრიორიტეტი (3) : ინფრასტრუქტურის განვითარება

პრიორიტეტის დასაბუთება:

აჭარის ტერიტორიები გამოირჩევა სხვადასხვა ტიპის ურბანული განვითარებით. რეგიონი ხასიათდება როგორც შავი ზღვის სანაპირო ზოლის, ასევე შიგამთიანი და მაღალმთიანი ლანდშაფტითა და შესაბამისი ხასიათის დასახლებებით.

რეგიონის მდგრადი და ჰარმონიული განვითარების უზრუნველსაყოფად ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გამართული ინფრასტრუქტურის შექმნა, მოვლა და მისი განვითარება. გამართული საგზაო, ნაპირდაცვითი, საინჟინრო-კომუნალური და ენერგოუზრუნველყოფის ინფრასტრუქტურის შექმნისადმი ხელშეწყობა დარგში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

2005 წლიდან დღემდე ჩვენს რეგიონში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საავტომობილო გზების ნუსხიდან არა ერთ საავტომობილო გზას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს ბევრი საავტომობილო გზა, რომელიც საჭიროებს აუცილებელ სარეაბილიტაციო ღონისძიებებს. შესაბამისად, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნებისა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით საჭიროა გზების კეთილმოწყობა, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესება, რაც საზოგადოებისათვის და

კერძო სექტორისათვის ეკონომიკური აქტივობების გაზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის წინაპირობაა.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის გზების კეთილმოწყობა, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, სამრეწველო და ინდუსტრიული ზონების განვითარების ხელშეწყობა, საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამა (3.1): საავტომობილო გზების მართვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ინფრასტრუქტურის განვითარება
პროგრამის დაფინანსების ოდენობა:
პროგრამული კოდი 041401

პროგრამის მიზანი:

საავტომობილო გზების ფუნქციონირების ორგანიზება, მართვა, ტექნიკური ზედამხედველობა და კონტროლი.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

შემუშავებულია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები, პერსპექტიული და პრიორიტეტული მიმართულებები. რეალიზებულია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები და გეგმები.

პროგრამა (3.2): საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
ინფრასტრუქტურის განვითარება
პროგრამის დაფინანსების ოდენობა:
პროგრამული კოდი 041402

პროგრამის მიზანი:

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, საგზაო კომუნიკაციების და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა, მოდერნიზაცია, განვითარება, სამრეწველო და ინდუსტრიული ზონების განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა.
განვითარებული სამრეწველო და ინდუსტრიული ზონები.

პროგრამა (3.3): საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:
პროგრამული კოდი 040106

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაუჭრელი საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის პროექტების განხორციელება, რომელთა მიმართ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და რომელთა გადაწყვეტა უზრუნველყოფს ურბანული, ინფრასტრუქტურული და სოციალური საკითხების მოგვარებას.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

აჭარის მაღალმთიან რეგიონში არსებული დასახლებების გაზმომარაგების უზრუნველყოფა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პრიორიტეტი (1) : ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასაბუთება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დებულების, დასახული პრიორიტეტის და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მშენებლობა/ რეაბილიტაციას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით ატარებს კონკურსებსა და ოლიმპიადებს, მონაწილეობს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში, აფინანსებს სტუდენტებს, ხელს უწყობს ახალ მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების ფორმირებას, ხელს უწყობს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ხელს უწყობს საჯარო სკოლებში საპანსიონო მომსახურებას, გაძლიერებულ (ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიურ სწავლებას, სახელოვნებო განათლებას, ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებს, რაც მიზნად ისახავს რეგიონში კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებას, ატარებს სპორტულ ღონისძიებებს და ხელს უწყობს სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება, უწყვეტი განათლების ხელშეწყობა; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; სკოლის შემდგომი ფორმალური განათლების ორიენტირება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და რეგიონის საჭიროებებზე; განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა სოციალურად დაუცველი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის; გაძლიერებული (მათემატიკა) სწავლების ხელშეწყობა; პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა; განსაკუთრებული სახელოვნებო უნარ-ჩვევების მქონე ბავშვების გამოვლენა; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამა (1.1): განათლების მართვა, კულტურისა და სპორტის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0501

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- გატარებულია ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში.

პროგრამა (1.2): განათლების ხელშეწყობა და ხარისხის გაუმჯობესება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0502

პროგრამის მიზანი:

განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხარისხი ამაღლებულია და ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომია.

პროგრამა (1.3): საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0503

პროგრამის მიზანი:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა ხელს შეუწყობს სამუშაო და სასწავლო პირობების გაუმჯობესებას, უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნას, ზოგადი განათლების მიღებასა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაუმჯობესებული საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლის მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან სატრანსპორტო მომსახურებით.

პროგრამა (1.4): აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0506

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ოთხ უმაღლეს სასწავლებელზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელშეწყობა, უმაღლესი პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ხელშეწყობილია აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და უმაღლესი განათლების განხორციელება;

უმაღლეს სასწავლებლებში გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა.

პროგრამა (1.5): საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურება, გაძლიერებული (ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0507

პროგრამის მიზანი:

- ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში სახელმწიფოს პრიორიტეტია საპანსიონო მომსახურების დაწესებულებების ბენეფიციარი მოსწავლეების დაბრუნება ბიოლოგიურ ოჯახებში, ან განთავსება ალტერნატიულ ოჯახურ გარემოსთან მიახლოვებულ სერვისებში (საოჯახო ტიპის სახლები) და აქცენტი აღებულია გაძლიერებული სწავლების დანერგვაზე, შესაბამისად მიზანშეწონილია გარდამავალ ეტაპზე შეჩერდეს პანსიონებში მოსწავლეთა მიღება.
- საჯარო სკოლები, რომლებიც ახორციელებენ საპანსიონო მომსახურებას, ბავშვების საცხოვრებელი მატერიალური ბაზის კეთილმოწყობის აუცილებლობა და სასწავლო გარემოს სტანდარტებთან მისადაგება; ხარისხიანი ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა; ყველა მოსწავლეს, მიუხედავად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება კომფორტულ და ესთეტიურ პირობებში, რაც მოსწავლეს მისცემს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების რეალიზაციის საშუალებას.
- ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული, ინტენსიური შესწავლა თანამედროვე, საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდებით.
- ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობის გამო სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად შესაბამისი პირობების შექმნა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- შექმნილია ბავშვების ცხოვრების, აღზრდისა და სწავლისათვის აუცილებელი შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობები (საცხოვრებელი, კვება, უსაფრთხო გარემო).

- სხვადასხვა სახის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს აქვთ ხარისხიანი და სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა;
- მოსწავლეები მაღალ დონეზე ფლობენ ფიზიკისა და მათემატიკის საგანს;
- მოზარდები არიან თვითრეალიზებულნი და საზოგადოებაში ინტეგრირებულნი.

პროგრამა (1.6): ზოგადი და პროფესიული განათლება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0508

პროგრამის მიზანი:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლის ხარისხის ამაღლება და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში გაზრდილია განათლების ხელმისაწვდომობა;
- გაუმჯობესებულია სასწავლო გარემო, სკოლებში გაზრდილია სწავლის მოტივაცია;
- სკოლებში გაზრდილია მასწავლებელთა მოტივაცია;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა ხელმისაწვდომია;

პროგრამა (1.7): უწყვეტი განათლება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0509

პროგრამის მიზანი:

ქართული, აფხაზური და უცხო ენების, TOEFL-ის გამოცდისათვის მოსამზადებელ კურსებზე სწავლა, კომპიუტერული უნარ ჩვევების შესწავლა, ასევე უსინათლოთათვის და შშმ პირთათვის კომპიუტერული უნარ ჩვევების შესწავლა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო და კერძო სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა;

ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლება; სკოლის ადმინისტრაციისა და კლასის დამრიგებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; სკოლამდელი აღზრდის მასწავლებელთა გადამზადება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- ხელმისაწვდომია ქართული (უცხო ქვეყნისა და ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის), აფხაზური და უცხო ენების შესწავლა;
- ხელმისაწვდომია კომპიუტერული უნარ ჩვევების შესწავლა;
- ხელმისაწვდომია მასწავლებელთა გადამზადება;
- სკოლამდელი აღზრდის მასწავლებელთა გადამზადება;
- შექმნილია მასწავლებელთა კვალიფიცირებული ტრენერების ქსელი, რომლებსაც შეუძლიათ პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა სკოლებში.

პროგრამა (1.8): უმაღლესი განათლება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 05 10

პროგრამის მიზანი:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლის ხარისხის ამაღლება და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- გაზრდილია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა საზღვარგარეთ;
- ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მიმართულებებზე ხელმისაწვდომია განათლება.
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/ღონისძიებების ორგანიზება ხელმისაწვდომია;

პროგრამა (1.9): სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0511

პროგრამის მიზანი:

- სკოლისგარეშე სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა;
- სახელოვნებო განათლების ხარისხის ამაღლება და კულტურისა და ხელოვნების სფეროს კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფა;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და ამოქმედების ხელშეწყობა;
- სახელოვნებო საგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეების მხარდაჭერა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის გზით.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- სახელოვნებო სკოლების მიღწევების აღიარება საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებში მიღებული წარმატებებით.

პროგრამა (1.10): სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0512

პროგრამის მიზანი:

ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში, მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- სპორტის სხვადასხვა სახეობებში საქართველოსა და აჭარის ასაკობრივი ნაკრები გუნდები შევსებულია პერსპექტიული სპორტსმენებით.

პრიორიტეტი (2): კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის დასაბუთება:

კულტურული ცხოვრების განვითარება და მოსახლეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა კულტურული აქტივობებით მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარების და ცნობიერების ამაღლებისათვის, რაც თავის მხრივ განაპირობებს ძლიერი და განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებას. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას“. საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“ აკისრებს სახელმწიფოს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურის მონაპოვართა ხელმისაწვდომობას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა საყოველთაო აღიარებას, საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებასა და გაფართოებას, შემოქმედებით ინტეგრაციას.

აჭარის რეგიონი გამოირჩევა კულტურული რესურსების, ფესტივალებისა და სხვა კულტურული აქტივობების მრავალფეროვნებით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ფოლკლორის უნიკალური ნიმუშებით. სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია ხელი შეუწყოს რეგიონში ერთიანი კულტურის პოლიტიკის გატარებას, კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციას, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ფოლკლორის დაცვა-შენარჩუნებას.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

აჭარის ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების დაცვა-შენარჩუნება; აჭარის მუზეუმების და გალერეების მოდერნიზება და მართვის წესებისა და რეგულაციების შემუშავება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; ფოლკლორის და ხალხური შემოქმედების ხელშეწყობა, შენარჩუნება და პოპულარიზაცია; სახვითი, გამოყენებითი და მულტიმედიური ხელოვნების ხელშეწყობა და მისი შემდგომი პოპულარიზაცია; სასცენო და სამუსიკო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა; ხელოვნების და კულტურის სფეროში პროფესიული დონის ამაღლება და კვალიფიციური კადრების მომზადება.

პროგრამა (2.1): კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 051401

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურის პროექტების განხორციელება, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობა, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება, შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობა და კულტურის პოპულარიზაცია.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგულარულად ხორციელდება კულტურის პროექტები.

პროგრამა (2.2): ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 051403

პროგრამის მიზანი:

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა, მათ შორის შენარჩუნება და პოპულარიზაცია უმთავრესად არაფორმალური განათლების მეშვეობით.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გატარებულია ღონისძიებები არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით.

პროგრამა (2.3): კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 051408

პროგრამის მიზანი:

აჭარის რეგიონში მოღვაწე კულტურის და ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების, ევროპული გამოცდილების გაზიარებისა და შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა. აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით შემოქმედებითი

პროცესების გააქტიურება; კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გატარებულია ღონისძიებები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოღვაწე კულტურის და ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარებისა და შემოქმედებითი ზრდის, რეგიონში კინოხელოვნების განვითარების და შემოქმედებითი პროცესების გააქტიურების, კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით.

პროგრამა (2.4): კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 051410

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა, რეაბილიტაცია, ცნობადობის ამაღლება, ტურისტულ ინფრასტრუქტურაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

აჭარაში დასრულებულია ხიდების რეაბილიტაცია, რეაბილიტაცია-კონსერვაცია ჩაუტარდა აჭარაში არსებულ საინჟინრო, საკულტო და საფორტიფიკაციო ძეგლების 40 %;

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ინფრასტრუქტურით მოწესრიგებული იქნება პეტრასა და გონიოს ციხე; რეაბილიტირებულია ციხეები;

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალები უაღრესად საინტერესო ინფორმაციას მოგვცემს ჩვენი მხარის ისტორიის და კულტურის შესასწავლად და ასევე გაამდიდრებს სამუზეუმო კოლექციებს და ფონდებს.

პროგრამა (2.5): მუზეუმებისა და გალერეების განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 051411

პროგრამის მიზანი:

სამეცნიერო-კვლევითი, საექსპოზიციო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად და მუზეუმში ფართო საზოგადოების მოზიდვის ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- განვითარებულია კულტურული ტურიზმი;
- გააქტიურებულია მუზეუმებისა და გალერეების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობა.

პროგრამა (2.6): სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 051412

პროგრამის მიზანი:

სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების განვითარება;

ქართული და მსოფლიო კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია;

სასცენო ხელოვნების პოპულარიზაცია.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- შენარჩუნებულია ქართული ხალხური ფოლკლორი;
- შენარჩუნებულია ქორეოგრაფიული ხელოვნება, მუსიკალური კულტურა, თეატრალური ხელოვნება, ეროვნული ტრადიციები.

პროგრამა (2.7): ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 051414

პროგრამის მიზანი:

ქართული მწერლობისა და სალიტერატურო ცხოვრების განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ქართული სამწერლო მემკვიდრეობისა და ტრადიციების შენარჩუნება;

ქართული მხატვრული სიტყვის განვითარებისათვის ზრუნვა.

პროგრამა (2.8): კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 05 14 15

პროგრამის მიზანი:

კულტურის დაწესებულების, კერძოდ, ახალი სახელოვნებო სკოლის მშენებლობა განათლებისა და მეცნიერების ქალაქში.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

აშენებულია ბათუმის განათლებისა და მეცნიერების ქალაქში სახელოვნებო სკოლა.

პროგრამა (2.9): საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0404

პროგრამის მიზანი:

- გაზეთების ბეჭდვა-გავრცელების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდა.

პრიორიტეტი (3): სპორტის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის დასაბუთება:

აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სპორტის კომპეტენციის ფარგლებში ხორციელდება რეგიონში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა.

სპორტის განვითარება რეგიონში ნიშნავს, რომ სპორტში ჩართულ ახალგაზრდებს უჩნდებათ კონკრეტული სპორტის სახეობის მიმართ ინტერესი, რაც ახალგაზრდების ფიზიკური ჯანმრთელობის სრულყოფას, მათ პოპულარიზაციას, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე უწყობს ხელს.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მასობრივ სპორტში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა; პროფესიული სპორტის მხარდაჭერა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.

პროგრამა (3.1): სპორტის სფეროს მართვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 051501

პროგრამის მიზანი:

- სპორტის სფეროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების მიერ ერთიანი პოლიტიკის შემუშავების, დაგეგმვისა და მისი რეალიზების კოორდინაცია.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- სპორტის სფეროში დამტკიცებული პროგრამების განხორციელება;
- სპორტის სფეროში არასახელმწიფო სექტორის როლის ზრდის ხელშეწყობა;
- სპორტის პროპაგანდა.

პროგრამა (3.2): სპორტის ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 051502

პროგრამის მიზანი:

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- სპორტული მიღწევების გაუმჯობესება და ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული გამოსვლა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- სპორტული ფედერაციები მხარდაჭერილია;
- მიღწეული წარმატებებისათვის სპორტსმენთა და მწვრთნელთა ცხოვრების ეკონომიკური და სოციალური პირობები გაუმჯობესებულია;
- სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა ოსტატობა ამაღლებულია;
- ხელსაყრელი პირობები იქნება შექმნილი ფიზიკურ-კულტურასა და სპორტში მოზარდთა და ახალგაზრდობის რეგულარული ჩართულობისათვის;

პრიორიტეტი (4): ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასაბუთება:

ახალგაზრდობა წარმოადგენს იმ მთავარ რესურსს, რომელზეც არის დამოკიდებული ქვეყნის მომავალი, მდგრადი დემოკრატიული განვითარება და ეკონომიკური პროგრესი, აქედან გამომდინარე, ახალგაზრდობის სფეროს სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და გაძლიერება, ახალგაზრდების მაქსიმალური გააქტიურება, ხელმისაწვდომი, ასაკზე და უნარებზე მორგებული სხვადასხვა სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელება, მუდმივი საჭიროებების გამოვლენა და მათზე მუშაობა, მნიშვნელოვან პრიორიტეტებს წარმოადგენს რეგიონის განვითარების სამომავლო ხედვაში.

ახალგაზრდობის სფეროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების მიერ ერთიანი პოლიტიკის შემუშავების, დაგეგმვისა და მისი განხორციელების კოორდინაციისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ახალგაზრდების

ჩართულობა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და კავშირების დამყარების მიზნით შესაბამისი პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელება.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

ახალგაზრდობის სფეროში ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელება-კოორდინაცია;
საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართულობა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და კავშირების დამყარების მიზნით შესაბამისი პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელება;
სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე დაყრდნობით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

პროგრამა (4.1): სსიპ - ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 051801

პროგრამის მიზანი:

სსიპ ახალგაზრდობის რეგიონულ ცენტრის მიერ აჭარის ტერიტორიაზე ახალგაზრდობის სფეროში პროგრამების შემუშავება, დამტკიცებული პროგრამების განხორციელება და კოორდინაცია.

პროგრამა (4.2): არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 051802

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა და მათ შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, ქვეყნის რეკრეაციული ლოკაციების გაცნობა/პოპულარიზაცია, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, ახალგაზრდებისთვის

თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა, გართობისა და დასვენებისთვის არაფორმალური გარემოს შექმნა, აქტიური ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გააქტიურებული ახალგაზრდობა, ეფექტურად გამოყენებული თავისუფალი დრო, ამაღლებული ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები, გართობისა და დასვენებისთვის შექმნილი ალტერნატიული პირობები, გამოვლენილი აქტიური ახალგაზრდები და ამაღლებული ცნობიერება.

პროგრამა (4.3): ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 051803

პროგრამის მიზანი:

ახალგაზრდების ინტერნაციონალზიაციის ხელშეწყობა, ახალგაზრდებში მოტივაციის ამაღლება, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და კავშირების დამყარება. ახალგაზრდებში ცნობიერებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება, მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გააქტიურებული მოხალისეობრივი საქმიანობა, მიღებულია პრაქტიკული უნარ-ჩვევები, მიღებული საერთაშორისო გამოცდილება, დამყარებული საერთაშორისო კავშირები, მოტივირებული და ინფორმირებული ახალგაზრდები.

პროგრამა (4.4): კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 051804

პროგრამის მიზანი:

სხვადასხვა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, სამუშაო გამოცდილების მიღება, მცირე სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერა, კვალიფიკაციის ამაღლება და ახალგაზრდების წახალისება. ახალგაზრდული ეკონომიკის მხარდაჭერა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ახლგაზრდებს მიღებული აქვს სამუშაო გამოცდილება 6 თვემდე ვადით. ამაღლებულია მოტივაცია, გაძლიერებული ახალგაზრდული ეკონომიკა. მხარდაჭერილია არანაკლებ 5 პროექტი.

პროგრამა (4.5): ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 051805

პროგრამის მიზანი:

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობის ხელშეწყობა, კულტურისა და ხელოვნების პროპაგანდა ახალგაზრდებში, ახალგაზრდების მასიური გააქტიურება, ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობების გამოვლენა, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების გაღრმავება, სადისკუსიო ტექნიკის დახვეწა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

მასიურად გააქტიურებული ახალგაზრდები, გამოვლენილი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები, გაღრმავებული გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები.

პრიორიტეტი (5) : საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

პრიორიტეტის დასაბუთება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საარქივო ფონდის განვითარება, აღწერა, ცენტრალიზებული წესით აღრიცხვა, დაცვა და გამოყენება. დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტებზე სადაზღვევო და ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

საარქივო მასალების შევსება, სტანდარტების შესაბამისი დაცვა, ელექტრონული ბაზის შექმნა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

პროგრამა (5.1) : საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0517

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპულიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე საარქივო სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება, საარქივო მასალების სტანდარტების შესაბამისი დაცვა, ელექტრონული ბაზის შექმნა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე საარქივო სფეროში გატარებულია ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა; საარქივო ფონდი დაცულია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად; შექმნილია ელექტრონული არქივი; გაუმჯობესებულია საარქივო მასალების ხელმისაწვდომობა და მომსახურების უზრუნველყოფა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

პრიორიტეტი (1): მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პრიორიტეტის დასაბუთება:

ქვეყნის მასშტაბით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ხორციელდება მთელი რიგი სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამები, რომლითაც დაცულია ადამიანების უფლება ამ სფეროში. მიუხედავად ამისა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის ხელმიუწვდომელი რჩება ზოგიერთი ფასიანი სამედიცინო მომსახურება, ისინი მოკლებულნი არიან საშუალებას მიიღონ დროული სამედიცინო დახმარება. უსახსრობის გამო სამედიცინო დაწესებულებებს მიმართავენ დიდი დაგვიანებით, დაავადებების გართულებული ფორმებით, რომელთა მკურნალობა უფრო დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. შედეგად იზრდება მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკები, დაავადების გართულებების ალბათობა, მცირდება მკურნალობის ეფექტურობის მაჩვენებელი, იზრდება შეზღუდული შესაძლებლობები, ლეტალობა;

სამინისტროს 2022-2025 წლების პრიორიტეტი თავისი შინაარსითა და მოცულობით ძირითადად ორიენტირებული იქნება სოციალურად დაუცველ და სხვა სოციალური კატეგორიის ფენებსა და დაავადების მაღალი რისკის ჯგუფებზე, სხვადასხვა სოციალურად დაუცველი კატეგორიის ადამიანებისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვაზე, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით, ამბულატორიულ, მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევაზე, სახსრების ენდოპროტეზირების, მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვაზე, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების, გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურების, ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისა და მოზრდილი მოსახლეობის რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ ფინანსური რისკებისგან დაცვაზე, სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი სამედიცინო დახმარების მიწოდებაზე.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით. სხვადასხვა დაავადებების მქონე პირთა, რომელთა აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში და რომლებიც ნაწილობრივ დაფინანსებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით „მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში“, საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა, მოსახლეობისათვის სახსრების ენდოპროთეზირების (გადაგვარებული ან დაზიანებული სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით) ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებით სამედიცინო მომსახურებასა და მოსახლეობის გულის ქურურგიის დამატებით სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა, ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების და მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისგან დაცვა, სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) ადგილზე დამაგრება (სოციალური უზრუნველყოფა).

ეპიდდაძაბული სიტუაციის დროს გადამდებ დაავადებათა გავრცელებისაგან რისკ ჯგუფების დაცვის უზრუნველყოფა და დაავადებული მოსახლეობისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურების მიწოდება.

პროგრამა (1.1): ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0601

პროგრამის მიზანი:

- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, დასაქმების, დევნილთა და განსახლების სფეროში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დარგში პრიორიტეტულ ღონისძიებათა შემუშავება;
- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა, მომსახურების ეფექტიანობის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა შესწავლილია, დაავადებათა და მართვად ინფექციათა მიმართულებით პროფილაქტიკური ღონისძიებები გატარებულია;
- პენსიონერების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მოსახლეობის სოციალურად დაუცველი სხვა ფენებისათვის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამები შემუშავებული და განხორცილებულია.

პროგრამა (1.2): სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0602

პროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.

მოსახლეობისათვის სახსრების ენდოპროთეზირების (გადაგვარებული ან დაზიანებული სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით) ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკურ კვლევებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთათვის დამატებით სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.

მოსახლეობის დამატებითი კარდიოქირურგიული მომსახურეობის (სამედიცინო მომსახურება, რომელიც არ ფინანსირდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით) დაფინანსება. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული კარდიოქირურგიული ოპერაციების თანაგადახდისა და გეგმიური გულის ან/და კორონალური არტერიების ანგიოგრაფიის დაფინანსება.

მოქალაქეების საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.

ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლებისათვის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმიური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების, თანაგადახდის დაფინანსება სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში.

მოზრდილი მოსახლეობის (18 წლის ზემოთ) ნებისმიერი ორგანული სისტემის დაავადებით ან დაზიანებით განპირობებული უუნარობის ფუნქციის აღდგენა და შესაბამისად ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ბენეფიციარების სიცოცხლე და ჯანმრთელობა შენარჩუნებულია/გაუმჯობესებულია, შესაძლებლობების შეზღუდვა შემცირებულია.

პროგრამა (1.3): პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0603

პროგრამის მიზანი:

სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) სოციალური დახმარების დანიშვნა, მათი სოფლებში დამაგრების მიზნით. სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილია გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი, უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურებით.

პროგრამა (1.4): საკარანტინე სივრცის სამედიცინო პერსონალით და COVID-19 მართვაში ჩართული რისკ ჯგუფების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0613

პროგრამის მიზანი:
ახალი კორონავირუსით (COVID 19) დაინფიცირებისაგან რისკ ჯგუფების დაცვის უზრუნველყოფა და დაავადებული მოსახლეობისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურების მიწოდება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:
უზრუნველყოფილია რისკ ჯგუფები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და საკარანტინე სივრცის სამედიცინო პერსონალით.

პროგრამა (1.5): საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0604

პროგრამის მიზანი:

რეგიონში ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებისადმი მზადყოფნისა და დროული რეაგირების გზით; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, მოსახლეობის ცნობიერების დონის გაზრდა და ჩართულობა;
დაავადებათა ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა, არაგადამდებ დაავადებებთან დაკავშირებული ავადობითა და უნარშეზღუდულობით გამოწვეული მართვადი ტვირთის შემცირება, სამედიცინო დიაგნოსტიკურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მუნიციპალურ დონეზე.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:
ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა/შენარჩუნება;

მოსახლეობის დამოკიდებულების ჩამოყალიბება ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად; დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკა, მოსახლეობის ჯანმრთელობის აცილებადი რისკების მართვა.

პრიორიტეტი (2): მოსახლეობის სოციალური დაცვა

პრიორიტეტის დასაბუთება:

ქვეყანაში მოქმედებს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა, ოჯახურ მზუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

სამინისტრო გამოყოფს მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიებს, რომელთა სომატურ/ფსიქიკური ჯანმრთელობა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან დამატებით მხარდაჭრას, უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების პირობების შექმნას. სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახების უსაფრთხო საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების - სხვადასხვა დაავადებების მქონე ბავშვების უზრუნველყოფა რეაბილიტაციის კურსებით, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების უზრუნველყოფა სარეაბილიტაციო ცენტრის მომსახურებით;
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და ხანდაზმული მოქალაქეების უზრუნველყოფა სხვადასხვა დამხმარე საშუალებებით;
მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარებების გაცემა;
მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით, უსაფრხო საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

პროგრამა (2.1): სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0605

პროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებების განხორციელება, განვითარების ეტაპების შეფერხების, აუტიზმის სპექტრის დარღვევების, სმენადაქვეითებული სმენაროთეზირებული, ძვალ-სახსროვანი სისტემის სხვადასხვა დეფორმაციის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- სამიზნე ჯგუფის ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან სარეაბილიტაციო მომსახურებით.

პროგრამა (2.2): მოსახლების გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0606

პროგრამის მიზანი:

- მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების მატერიალური დახმარება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

100 წელს გადაცილებული მოქალაქეებზე, ახალშობილი ტყუპების ოჯახებზე, 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად დაღუპულთა, დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარება, მზრუნველობამოკლებულ პირთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა.

პროგრამა (2.3): შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0607

პროგრამის მიზანი:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა, მოზრდილთა და ხანდაზმულ პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური პირობები გაუმჯობესებულია, დამხმარე საშუალებების მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, ბენეფიციართა ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესებულია.

პროგრამა (2.4): მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0612

პროგრამის მიზანი:

- მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ბენეფიციართა საცხოვრებელი/ყოფითი პირობები გაუმჯობესებულია, სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარება გაწეულია, ბენეფიციარის/ოჯახის მხარდაჭერა უზრუნველყოფილია.

პროგრამა (2.5): ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0609

პროგრამის მიზანი:

- ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით დაკმაყოფილება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

- სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახები უზრუნველყოფილი არიან უსაფრთხო საცხოვრებლით.

პროგრამა (2.6): სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 040104

პროგრამის მიზანი:

სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაუმჯობესებულია სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობები.

პროგრამა (2.7): ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის ღონისძიებები

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 041304

პროგრამის მიზანი:

საქართველოში ახალი კორონავირუსის, COVID-19 - ის შესაძლო გავრცელების პრევენცია.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

შემცირებულია ვირუსით დაინფიცირებლ პირთა რაოდენობა.

პრიორიტეტი (3): დასაქმების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასაბუთება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და აქტიური გამოწვევაა. არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის დასაქმების სისტემისა და მექანიზმების განვითარების ხელშეწყობას.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

- დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის ოპერატიული და ეფექტური კავშირის უზრუნველყოფა;
- დასაქმებულთა და უმუშევართა აღრიცხვის მოწესრიგება; სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის გაზრდა პროფესიული და პიროვნული თვითშეფასების, შრომის ბაზარზე ორიენტაციის, სამუშაოს ძებნისა და თვითპრეზენტაციის უნარების განვითარების გზით.

პროგრამა (3.1): დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0610

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაქმების სისტემისა და მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა.

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა; ორგანიზაციებში სხადასხვა პროფესიით დასაქმებული პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება ახალი საბაზრო მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად; დასაქმების სააგენტოს ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მომსახურების ინფორმირებულობის ხარისხის ზრდა და სააგენტოს სერვისით მოსარგებლე მოქალაქეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

სააგენტოს სერვისებით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა; დასაქმების გაზრდილი შესაძლებლობები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პრიორიტეტი (1) : სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პრიორიტეტის დასაბუთება:

სოფლის მეურნეობა და მისი შემდგომი განვითარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტული სფეროა და წარმოადგენს სოფლად დასახლებული მოსახლეობის შემოსავლების ერთ–ერთ ძირითად წყაროს. ამასთან, მისი ძირითადი ფუნქციაა რეგიონში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც დამოკიდებულია ადგილობრივი პროდუქციის წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვაზე, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და აგრარულ სექტორში დასაქმებულების ცოდნის გაფართოებაზე.

რეგიონის სოფლის მეურნეობის უმთავრეს სექტორებს წარმოადგენს: მეციტრუსეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა და სხვა. რეგიონში მცირე მიწიანობასთან ერთად დაბალია სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის წარმოების მაჩვენებელი, რაც განპირობებულია დაბალი აგროტექნიკური ფონით, ამორტიზირებული ნარგავებითა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის დაბალი ტემპით. შესაბამისად, რომ განხორციელდეს აგროსასურსათო სექტორში პროდუქციის წარმოების ზრდა და საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა, აუცილებელია სასურსათო უსაფრთხოებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, პროგრამული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რაც დადებითად აისახება ფერმერებზე, აგრომეწარმეებსა და ზოგადად მოსახლეობის შემოსავლებზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022–2025 წლების პრიორიტეტი თავისი შინაარსითა და მოცულობით ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომ განვითარებაზე, იგი შემუშავებულია აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანებების (ა.მ.ა.გ-ი) მიერ წამოდგენილი საჭიროებების საფუძველზე და შესაბამისობაშია „აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების“ და „აჭარის სოფლის განვითარების“ სტრატეგიებთან.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

სოფლის მეურნეობის დარგში თანამედროვე მიღწევებისა და აგროტექნოლოგიების დანერგვა, მემცენარეობასა და მეცხოველეობაში ჯიშთგანახლება, მაღალეფექტური მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების განვითარების ხელშეწყობა, რეგიონის დაბლობი ზონისათვის ახალი სასოფლო-სამეურნეო ფუნქციების მინიჭება, ადგილობრივი პროდუქციის წარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდა, აგრარული ექსტენციის მიმართულების გაძლიერება და დარგში დასაქმებულთა ცოდნის გაფართოება, საგანმანათლებლო და სადემონსტრაციო პროექტების განხორციელება, საერთაშორისო

სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა, ადგილობრივი წარმოების პროდუქტების პოპულარიზაცია, სამელიორაციო სისტემების განვითარება.

პროგრამა (1.1): აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0701

პროგრამის მიზანი:
რეგიონის აგროსამრეწველო და სასურსათო სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა და მის პრაქტიკულ განხორციელებაში ადმინისტრაციული აპარატის მოქნილი, მაღალეფექტური და კოორდინირებული მართვის სისტემის უზრუნველყოფა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების მიზნით სამინისტროს მიერ ღონისძიებები ჩატარებულია და აქტივობები განხორციელებულია, დატვირთულია რეგიონი ახალი სასოფლო-სამეურნეო ფუნქციებით, გაზრდილია ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობა; ფერმერების და აგრომეწარმეების მხრიდან გაზრდილია ინტერესი ეროვნული დარგების აღორძინების საქმეში; ჩამოყალიბებულია აგროსასურსათო სექტორის შემდგომი განვითარების პრიორიტეტები, შემუშავებულია პრიორიტეტების განხორციელების სტრატეგიული გეგმა და აღნიშნული გეგმის უზრუნველსაყოფად გაწერილია შესაბამისი ღონისძიებები.
ღონისძიებების ეფექტურად განხორციელების მიზნით ჩატარებულია პრეზენტაციები აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივ გაერთიანებებთან (ა.მ.ა.გ.-ი), ფერმერებთან, აგრომეწარმეებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. სამინისტროს ორგანიზებით სოფლის მეურნეობის დარგის პოპულარიზაციისაკენ მიმართული ღონისძიებები განხორციელებულია.

პროგრამა (1.2): აგროსექტორის მდგრადი განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0705

პროგრამის მიზანი:
სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი ფერმერებისა და აგრომეწარმეების საქმიანობის ეფექტურობისა და მდგრადობის ამაღლება, აგრარული და საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტ-კურსდამთავრებულთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების და კვალიფიკაციის ამაღლება, აგროსექტორის პოტენციალისა (საწარმოო, საექსპორტო და საინვესტიციო) და საჭიროებების (დარგობრივი და ინსტიტუციური) შესახებ ცნობადობის ზრდა, რეგიონის აგრარულ სექტორში დონორთა დახმარებების მოზიდვის, ინვესტიციების წახალისებისა და ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

სოფლის მეურნეობის დარგებში ჩატარებული ექსტენციის შედეგად სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის და რეალიზაციისთვის საჭირო პრაქტიკულ და თეორიულ უნარ-ჩვევებს დაუფლებული ფერმერები და აგრომეწარმეები. ანაზღაურებადი სტაჟირების გზით კვალიფიკაცია ამაღლებული აგრარული, საბუნებისმეტყველო და ეკონომიკური მიმართულების სტუდენტები და კურსდამთავრებულები. ჩატარებული საერთაშორისო ღონისძიებების შედეგად გაზრდილი ცნობადობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგროსექტორის პოტენციალისა და საჭიროებების შესახებ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

პროგრამა (1.3): სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით
პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 0706

პროგრამის მიზანი:
მემცენარეობის, მეცხოველეობის განვითერებისა და მაღალეფექტური სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის გზით, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საშუალებებით უზრუნველყოფის ხელშეწყობის გზით ხელი შეეწყობა რეგიონში სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებას მემცენარეობისა და მეცხოველეობის მიმართულებით, ასევე მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მცირე გადამამუშავებელი ტექნოლოგიების დანერგვას.

პროგრამა (1.4) : აგროსერვისის განვითარება რეგიონში

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:
პროგრამული კოდი 0707

პროგრამის მიზანი:

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"-ს მაღალეფექტური და კოორდინირებული მართვის სისტემის უზრუნველყოფა, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება.

მაღალტექნოლოგიური სადემონსტრაციო ბაღების მოწყობა, ტექნოლოგიურად აღჭურვილი სანერგე-სასათბურე და საჩითილე მეურნეობების მართვა-ფუნქციონირება, მაღალმთიან აჭარაში სანერგე, საჩითილე მეურნეობების განვითარება. მეფუტკრეობის დარგის განვითარება, მეფუტკრე ფერმერის/აგრომეწარმის მიერ შეძენილი ფუტკრის ოჯახების (ამანათ-ნაყარის) სუბსიდირების გზით. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ფერმერებზე გაწეული მომსახურება, მებოსტეობისა და მესათბურეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ჩითილის წარმოება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის" მიერ აგროსერვისის განვითარების პოლიტიკის პრაქტიკულ განხორციელებაში უზრუნველყოფილი მაღალეფექტური და კოორდინირებული მართვის სისტემა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოწყობილი/მოქმედი მაღალტექნოლოგიური სადემონსტრაციო ბაღები; მაღალმთიან აჭარაში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სანერგე და საჩითილე მეურნეობები. სუბსიდირებულია მეფუტკრე ფერმერების მიერ ფუტკრის ოჯახების შეძენა, განვითარებულია მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სადედე ბაღები, სტანდარტული სარგავი მასალა, აგრარულ დარგში დანერგილია ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიები. სანერგე მეურნეობების შემდგომი გავითარების მოდერნიზაციის მიზნით წარმოდგენილია თანამედროვე ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული მიღწევები.

პროგრამა (1.5): ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება
პროგრამის დაფინანსების ოდენობა:
პროგრამული კოდი 0708

პროგრამის მიზანი:

ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება და სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის მიზნებისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების (ტესტირების) წარმოება, მცენარეთა დაცვის და ფიტოსანიტარული კეთილსაიმედოობის ხელშეწყობა; „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმების შედეგად სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დასაახლოებელი სამართლებრივი აქტების ეტაპობრივი შესრულება; ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება, ლაბორატორიის ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწა, ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე კვლევის მეთოდების დანერგვა, კვლევის ახალი მეთოდების დანერგვა და აკრედიტაცია, საერთაშორისო ლაბორატორიათაშორის კვლევებში მონაწილეობა, კადრების მოზიდვა, სწავლება/გადამზადება და სტაჟირება თანამედროვე მეთოდოლოგიებში, ახალი მეთოდების ვალიდაცია, ფერმერებისა და მიზნობრივი ჯგუფებისათვის მოქნილი სერვისის მიწოდება, სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების მიზნით სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის სფეროში მიღწეული სერვისების ეფექტიანობის გაზრდა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა და ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვა;

სამამულო პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა;

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ზრდა.

პროგრამა (1.6) : მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:
პროგრამული კოდი 0709

პროგრამის მიზანი:

რეგიონის მეციტრუსე ფერმერების მხარდაჭერა და ციტრუსის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

რეგიონის მეციტრუსე ფერმერები და ციტრუსის გადამამუშავებელი მრეწველობა ხელშეწყობილია.

პროგრამა (1.7) : მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:
პროგრამული კოდი 0711

პროგრამის მიზანი:

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლება ხელოვნური განაყოფიერების გზით.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ჯიშგანახლებული და მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის არსებობა რეგიონში.

პროგრამა (1.8) : სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:
პროგრამული კოდი 0713

პროგრამის მიზანი:

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, სარწყავი და სადრენაჟე სისტემების რეკონსტრუქცია.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია/მოდერნიზაციის შედეგად რეკონსტრუირებული სარწყავი არხები, დატბორვა-დაჭაობებისაგან დაცული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

პროგრამა (1.9) : სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:
პროგრამული კოდი 0714

პროგრამის მიზანი:

სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესებისათვის ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

სოფლად მცხოვრებ ფერმერთა, მათ შორის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი და მეორადი გადამუშავების ტექნოლოგიური ხაზები, გაუმჯობესებული ფერმერთა ეკონომიკური მდგომარეობა.

პროგრამა (1.10) : ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:
პროგრამული კოდი 0715

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაუმჯობესებულია მოსახლეობის მიერ ხორცის წარმოება და შესაბამისად ბაზარზე დაცულია მომხმარებლის უსაფრთხოების ნორმები.

პრიორიტეტი (2): გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა

პრიორიტეტის დასაბუთება:

ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი (უსაფრთხო) გარემოს შენარჩუნება და გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა;

ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივ გარემოსათვის ატმოსფერული ჰაერის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევა, შენარჩუნება და გაუმჯობესება;

წყლის მავნე ზემოქმედების აცილება, წყლის ობიექტების დაცვა და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით;

ნარჩენების მართვის სრულყოფასთან დაკავშირებით, დაბინძურებული კერების გამოვლინება, აღრიცხვა და სათანადო რეკომენდაციების მომზადება;

თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, მათ შორის, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტის, ტყეში არსებული მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და დაცვა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საშიში (სტიქიური) გეოლოგიური პროცესების შესწავლა, საშიში გეოლოგიური მოვლენების პროგნოზირება და საინფორმაციო-საცნობარო მონაცემთა ბაზის შექმნა.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვა, მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროს კონტროლი და ზედამხედველობა, გარემოს ინტეგრირებული მართვის ხელშეწყობა, გეოლოგიური მონიტორინგი, საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება, გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

პროგრამა (2.1): გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ორგანიზაციული მართვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 071201

პროგრამის მიზანი:

მდგრადი გარემოს დაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; გარემოს ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი; საშიში (სტიქიური) გეოლოგიური პროცესების შესწავლა, პროგნოზირება და საინფორმაციო-საცნობარო მონაცემთა ბაზის შექმნა; საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება, გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის პარამეტრების გაუმჯობესება;

საწარმოების მიერ გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვა;

დაბინძურების კერების რაოდენობის შემცირება;

საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება.

პროგრამა (2.2): გარემოსდაცვითი პროგრამა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 071202

პროგრამის მიზანი:

გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვა; ატმოსფერულ ჰაერში, ჩამდინარე, ზედაპირული და ზღვის წყალში ზენორმატიული გაფრქვევა/ჩაშვების რაოდენობის შემცირება.

პრიორიტეტი (3): ტყის მდგრადი მართვა

პრიორიტეტის დასაბუთება:

ტყეში არსებული მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და დაცვა; ტყის მართვა ტყის რესურსების ანალიზისა და გარემოსდაცვითი რისკების გათვალისწინებით, ტყის მოვლის ეფექტური სისტემის დანერგვა; ტყის რესურსებით სარგებლობის ეფექტიანობის ამაღლება და ხარისხიანი სერვისების დანერგვა; ტყის დეგრადაციის პროცესის შეჩერება, ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება; ტყითსარგებლობის წესების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება; ახალი ფუნქციონალური დატვირთვის შესაბამისად ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

ტყეების მდგრადი მართვა, ტყის ბუნებრივი და ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან დაცვა, ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ტყის აღდგენა, ტყის რესურსების ეფექტიანი გამოყენება, ტყის რესურსებით სარგებლობისა და სატყეო სექტორის

მართვის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება; ორგანიზაციის მიერ დებულებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება.

პროგრამა (3.1): ტყის დაცვა და მოვლა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ტყის მდგრადი მართვა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 071203

პროგრამის მიზანი:

ტყის ბუნებრივი და ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან დაცვა, ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

დეგრადაციის პროცესის შეჩერება, სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

პროგრამა (3.2): საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ტყის მდგრადი მართვა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 071204

პროგრამის მიზანი:

ტყის რესურსებით სარგებლობისა და სატყეო სექტორის მართვის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ამაღლებულია ტყის რესურსებით სარგებლობისა და სატყეო სექტორის მართვის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერება.

პროგრამა (3.3): ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ტყის მდგრადი მართვა

პროგრამის დაფინანსების ოდენობა:

პროგრამული კოდი 071205

პროგრამის მიზანი:

ორგანიზაციის მიერ დებულებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ორგანიზაციული სტრუქტურა სრულყოფილად ასახავს ინსტიტუციურ ფუნქციებს;

სატყეო ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია;

მოსახლეობისათვის საშეშე და სამასალე მერქნის ეფექტური მიწოდების უზრუნველყოფა;

ტყის მაღალი ხარისხით დაცვა ანთროპოგენული ზემოქმედებისაგან.

მხარჯავი დაწესებულებებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი პროგრამები და მათი დაფინანსების ოდენობა

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	სულ	2022	2023	2024	2025
01 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	22 466,0	5 616,5	5 616,5	5 616,5	5 616,5
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	22 466,0	5 616,5	5 616,5	5 616,5	5 616,5
02 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	5 434,4	778,6	778,6	3 098,6	778,6
02 01	საარჩევო სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება	3 114,4	778,6	778,6	778,6	778,6
02 02	არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა	2 320,0	0,0	0,0	2 320,0	0,0
03 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	15 928,8	3 982,2	3 982,2	3 982,2	3 982,2
03 01	მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა	15 928,8	3 982,2	3 982,2	3 982,2	3 982,2
04 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	467 887,0	124 642,6	138 940,7	108 929,1	95 374,6
04 01	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	117 028,0	38 609,1	52 466,3	20 726,3	5 226,3
04 01 01	ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა	13 336,7	3 334,7	3 334,0	3 334,0	3 334,0
04 01 02	რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა	1 409,9	233,0	392,3	392,3	392,3
04 01 03	ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა	41 781,4	14 041,4	19 240,0	7 000,0	1 500,0
04 01 04	სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა	50 000,0	15 000,0	25 000,0	10 000,0	0,0
04 01 06	საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	10 500,0	6 000,0	4 500,0	0,0	0,0
04 02	სახაზინო მომსახურება	947,4	238,6	235,6	236,6	236,6
04 03	რეკრეაციული ადგილების მოვლა-შენახვა	38 196,5	10 191,7	8 545,0	9 309,9	10 149,9
04 04	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	981,6	245,4	245,4	245,4	245,4
04 05	დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა	320,4	80,1	80,1	80,1	80,1
04 06	საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა	1 230,0	307,5	307,5	307,5	307,5
04 08	საწარმოთა მართვა	854,0	213,5	213,5	213,5	213,5
04 09	ახალი შესაძლებლობები ბიზნესისთვის	500,0	500,0	0,0	0,0	0,0
04 11	ბიზნეს ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა	1 381,0	361,0	340,0	340,0	340,0
04 13	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	50 857,4	13 275,0	11 517,3	12 479,8	13 585,3
04 13 01	ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა	4 689,4	1 253,0	1 131,8	1 144,8	1 159,8
04 13 02	აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე	29 529,0	5 537,0	7 225,0	7 952,0	8 815,0
04 13 03	ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება	13 639,0	3 485,0	3 160,5	3 383,0	3 610,5
04 13 04	ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის ღონისძიებები	3 000,0	3 000,0	0,0	0,0	0,0
04 14	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტი	255 590,6	60 620,6	64 990,0	64 990,0	64 990,0

04 14 01	საავტომობილო გზების მართვა	6 730,0	1 720,0	1 670,0	1 670,0	1 670,0
04 14 02	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	248 860,6	58 900,6	63 320,0	63 320,0	63 320,0
05 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	319 216,1	73 867,4	87 782,9	78 782,9	78 782,9
05 01	განათლების მართვა, კულტურისა და სპორტის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა	10 357,0	2 557,0	2 600,0	2 600,0	2 600,0
05 02	განათლების ხელშეწყობა და ხარისხის გაუმჯობესება	4 703,4	1 103,4	1 200,0	1 200,0	1 200,0
05 03	საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	91 231,2	22 411,2	22 940,0	22 940,0	22 940,0
05 06	აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	20 490,5	4 533,5	5 319,0	5 319,0	5 319,0
05 07	საჯარო სკოლების საპენსიონო მომსახურება, გაძლიერებული (ფიზიკა, მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა	7 197,3	1 332,3	1 955,0	1 955,0	1 955,0
05 08	ზოგადი და პროფესიული განათლება	3 705,0	855,0	950,0	950,0	950,0
05 09	უწყვეტი განათლება	2 372,1	542,1	610,0	610,0	610,0
05 10	უმაღლესი განათლება	12 501,3	3 051,3	3 150,0	3 150,0	3 150,0
05 11	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	23 743,9	5 935,0	5 936,3	5 936,3	5 936,3
05 12	სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა	14 848,8	3 524,1	3 774,9	3 774,9	3 774,9
05 14	კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია	93 666,2	19 871,9	30 598,1	21 598,1	21 598,1
05 14 01	კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა	5 392,2	892,2	1 500,0	1 500,0	1 500,0
05 14 03	ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა	1 120,0	220,0	300,0	300,0	300,0
05 14 08	კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	1 100,0	200,0	300,0	300,0	300,0
05 14 10	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია	21 296,4	3 576,6	11 906,6	2 906,6	2 906,6
05 14 11	მუზეუმებისა და გალერეების განვითარება	9 612,0	2 403,0	2 403,0	2 403,0	2 403,0
05 14 12	სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა	43 552,5	10 437,0	11 038,5	11 038,5	11 038,5
05 14 14	ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა	593,1	143,1	150,0	150,0	150,0
05 14 15	კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	11 000,0	2 000,0	3 000,0	3 000,0	3 000,0
05 15	სპორტის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია	16 013,6	3 949,1	4 021,5	4 021,5	4 021,5
05 15 01	სპორტის სფეროს მართვა	1 844,8	461,2	461,2	461,2	461,2
05 15 02	სპორტის ხელშეწყობა	14 168,8	3 487,9	3 560,3	3 560,3	3 560,3
05 17	საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება	8 849,7	2 212,5	2 212,4	2 212,4	2 212,4
05 18	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	9 536,0	1 988,9	2 515,7	2 515,7	2 515,7
05 18 01	სსიპ - ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი	3 804,4	951,1	951,1	951,1	951,1
05 18 02	არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა	2 398,9	415,6	661,1	661,1	661,1
05 18 03	ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა	944,4	216,6	242,6	242,6	242,6

05 18 04	კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	1 316,9	125,9	397,0	397,0	397,0
05 18 05	ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა	1 071,4	279,7	263,9	263,9	263,9
06 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	116 080,1	28 432,1	28 556,0	29 546,0	29 546,0
06 01	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა	9 275,5	2 345,5	2 310,0	2 310,0	2 310,0
06 02	სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	45 840,0	10 530,0	11 110,0	12 100,0	12 100,0
06 03	პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა	1 718,4	429,6	429,6	429,6	429,6
06 04	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	14 476,8	3 619,2	3 619,2	3 619,2	3 619,2
06 05	სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია	15 539,2	3 884,8	3 884,8	3 884,8	3 884,8
06 06	მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება	1 720,4	425,6	431,6	431,6	431,6
06 07	შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით	3 786,8	946,7	946,7	946,7	946,7
06 09	ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა	12 320,0	3 080,0	3 080,0	3 080,0	3 080,0
06 10	დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა	3 489,6	872,4	872,4	872,4	872,4
06 12	მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა	7 486,9	1 871,8	1 871,7	1 871,7	1 871,7
06 13	საკარანტინე სივრცის სამედიცინო პერსონალით და COVID-19 მართვაში ჩართული რისკ ჯგუფების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა	426,7	426,7	0,0	0,0	0,0
07 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	80 335,9	20 055,4	20 093,5	20 093,5	20 093,5
07 01	აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	11 001,2	2 750,3	2 750,3	2 750,3	2 750,3
07 05	აგროსექტორის მდგრადი განვითარება	1 259,6	314,9	314,9	314,9	314,9
07 06	სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით	6 631,3	1 415,8	1 738,5	1 738,5	1 738,5
07 07	აგროსერვისის განვითარება რეგიონში	12 560,8	3 140,2	3 140,2	3 140,2	3 140,2
07 08	ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება	1 646,0	411,5	411,5	411,5	411,5
07 09	მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა	3 000,0	750,0	750,0	750,0	750,0
07 11	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობა	732,4	198,4	178,0	178,0	178,0
07 12	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო	26 275,2	6 568,8	6 568,8	6 568,8	6 568,8
07 12 01	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ორგანიზაციული მართვა	5 241,6	1 310,4	1 310,4	1 310,4	1 310,4
07 12 02	გარემოსდაცვითი პროგრამა	261,6	65,4	65,4	65,4	65,4
07 12 03	ტყის დაცვა და მოვლა	2 906,0	726,5	726,5	726,5	726,5
07 12 04	საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	16,0	4,0	4,0	4,0	4,0
07 12 05	ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები	17 850,0	4 462,5	4 462,5	4 462,5	4 462,5
07 13	სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია	4 150,0	1 150,0	1 000,0	1 000,0	1 000,0
07 14	სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა	12 621,8	3 197,6	3 141,4	3 141,4	3 141,4

07 15	ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა	458,0	158,0	100,0	100,0	100,0